ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №468617

ნომერი: AR197713

თარიღი : 11.12.2012

გაცემის თარიღი : 14.12.2012

გაცნობის თარიღი : 14.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ.4/77) ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ.4/77) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების,

"დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენ #AR197713 განცხადებაზე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ითხოვთ ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენას, მდებარეობს დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, იმ ტერიტორიის საზღვრებში, რომელზეც დღევანდელი მდგომარეობით გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება #75855 09.03.2012. გრგ–ს დავალება მოიცავს „დიღმის ჭალების“ ტერიტორიას, ასევე ითვალისწინებს დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალისა და ბელიაშვილის ქუჩის შემაერთებელი კვანძის მოწყობას. იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ წარმოდგენილი იქნება მასში შემავალი ტერიტორიის ნაწილის (იხ. დანართი სავარაუდო კონტური) საპროექტო წინადადება (განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი), რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემაერთებელი კვანძის მოწყობა, საკითხი განხილული იქნება ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.